ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები
NODIA, URUMASHVILI & PARTNERS

სარჩევი:

- ,,მაუწყებლობის შესახებ'' კანონში განხორციელებული ცვლილებები; 2
- „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები; 3
- „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები; 8
- უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი. 8

„2025 წლის 29 აპრილის მდგომარეობით საინფორმაციო ბიულეტენში მოცემული მოსაზრებები და ანალიზი არის ინფორმაციული ხასიათის; ისინი არ უნდა იქნას აღქმული, როგორც შ.პ.ს. „ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორების“ მიერ გაცემული სამართლებრივი რჩევა."

1. *„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები*

2025 წლის 1-ლ აპრილს ,,მაუწყებლობის შესახებ'' კანონში რამდენიმე ცვლილება განხორციელდა. აღნიშნული ცვლილებები მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: მაუწყებლობის ახალი სახის განსაზღვრა, მის დაფინანსებასთან დაკავშირებული ახალი რეგულაციები და მაუწყებელთათვის განსაზღვრული წესები პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ფარგლებში.

პირველ რიგში, საყურადღებოა, რომ მაუწყებლობის ახალ სახედ განისაზღვრა კულტურულ-შემოქმედებითი მაუწყებლობა. ეს უკანასკნელი განეკუთვნება სპეციალიზებული მაუწყებლობის კატეგორიას. მისი განხორციელების უფლებამოსილება გააჩნია, როგორც კერძო, ასევე საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, კულტურის ორგანიზაციას (შემდგომში ორგანიზაცია). კულტურის ორგანიზაციის საქმიანობის ძირითადი მიზნებია საზოგადოების ფართო მასებისთვის კულტურის სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციისა და სიახლეების მიწოდება. საგულისხმოა, ის გარემოებაც, რომ კულტურულ-შემოქმედებითი სამაუწყებლო საქმიანობა ექვემდებარება კანონით დადგენილი წესით ლიცენზირებას, ასევე განახლდა ლიცენზიის მოპოვებისათვის წარსადგენი დოკუმენტაცია.

მაუწყებლობის ახალი სახისა და მის განსახორციელებლად შესაბამისი ლიცენზიის მოპოვების სავალდებულო ფორმით დაწესებამ ასევე გამოიწვია ცვლილება ,,ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ'' საქართველოს კანონში, კერძოდ ლიცენზიის ახალ სახედ მიეთითა კულტურულ-შემოქმედებითი რადიომაუწყებლობის ლიცენზია. აღნიშნული ცვლილებები ამოქმედდება 2025 წლის 1-ელ ნოემბერს.

შემდეგი საკითხი, რომლის საკანონმდებლო ჩარჩოც მოდიფიცირდა 2025 წლის 1-ელი აპრილის საკანონმდებლო ცვლილებებით, შეეხება მაუწყებლობის დაფინანსებასთან დაკავშირებულ აკრძალვებს. ცვლილების მიხედვით, მაუწყებლის მიერ იკრძალება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი დაფინანსების მიღება უცხოური ძალისაგან, გარდა კომერციული რეკლამისა, ტელეშოპინგისა, სპონსორობისა და პროგრამაში პროდუქტის საქონლის ან/და მომსახურების განთავსებისა. უცხოურ ძალას წარმოადგენენ შემდეგი სუბიექტები: ფიზიკური პირები, რომლებიც არ არიან საქართველოს მოქალაქეები, ასევე იურიდიული პირები, რომლებიც არ არიან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებულნი, უცხო სახელმწიფოს ხელისუფლების სისტემის შემადგენელი სუბიექტები და ისეთი ორგანიზაციული წარმონაქმნი ან პირთა გაერთიანება, რომელიც უცხო სახელმწიფოს სამართლის ან/და საერთაშორისო სამართლის საფუძველზეა

დაფუძნებული. მნიშვნელოვანია, რომ დაფინანსებასთან დაკავშირებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, საკითხის განხილვისა და დარღვევის დადასტურების შემთხვევაში, მაუწყებელს შეეფარდება შესაბამისი სანქცია. სანქციათა აღსრულების რეჟიმი დაიწყება 2025 წლის 1-ელ ივნისს. მითითებული ცვლილებები ძალაშია 2025 წლის 2 აპრილიდან.

რაც შეეხება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების საკითხს ,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონის ფარგლებში, 1-ლ აპრილს განხორციელებული ცვლილებებით კანონი დამატებით მოიცავს შესაბამის რეგულაციებს, რათა მაქსიმალურად იყოს დაცული როგორც ფიზიკურ პირთა პირადი ცხოვრება, ასევე იურიდიულ პირთა საქმიანობის კონფიდენციალობა, მაუწყებლის მიერ მისი საქმიანობის განხორციელებისას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მაუწყებლის მიერ ფარული მეთოდების გამოყენებით ინფორმაციის მოპოვებისა და გადაცემის ფორმებსა და მიზნებს. ფარული მეთოდების გამოყენება მიზანშეწონილია მხოლოდ და მხოლოდ შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის არსებობის შემთხვევაში, რომელიც შესაძლოა, იყოს მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესი. გარდა აღნიშნულისა, კანონში დამატებით ასევე მოწესრიგდა არასრულწლოვანთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის საკითხი და შეიარაღებული დაპირისპირების, უბედური შემთხვევის ან/და სხვა საგანგებო ვითარების გაშუქების წესები. აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებულ მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში, დარღვევის ფაქტის შესწავლის შემდგომ, მაუწყებელს განესაზღვრება სანქცია, რომლის აღსრულების პროცესიც დაიწყება 2025 წლის 1-ელი ივნისიდან. ზემოხსენებული ცვლილებები ამოქმედდა 2025 წლის 2 აპრილს.

2. *„გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები*

2025 წლის 20 თებერვალსა და 16 აპრილს „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელდა ცვლილებები. 20 თებერვლის ცვლილება ძალაში შევიდა 2025 წლის 21 თებერვალს, ხოლო 16 აპრილის ცვლილება ძალაში შევიდა იმავე დღეს.

20 თებერვლის ცვლილების შესაბამისად, „გრანტის გამცემის (დონორი)" განმარტების ქვეშ მოექცევა საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის წესდების/დებულების მიზანია - საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერის მიზნით გრანტების გაცემა.

ამავე ცვლილებით, საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელს მიენიჭა უფლებამოსილება, საზოგადოებრივი ორგანიზაციის მხარდაჭერის მიზნით გრანტის გაცემის საკითხებთან დაკავშირებით

საჭიროების შემთხვევაში გამოსცეს ნორმატიული აქტი ან/და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

16 აპრილის ცვლილების თანახმად, შეიცვალა გრანტის გაცემის წინაპირობები, რის შესაბამისადაც გრანტი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მხოლოდ ხელშეკრულებაში აღნიშნული მიზნებისთვის. სხვა მიზნებისთვის გრანტის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ გრანტის გამცემისა (დონორის) და საქართველოს მთავრობის, ან საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირის/ორგანოს თანხმობით.

აღნიშნული ცვლილებით კანონს დაემატა უცხოური გრანტის გამცემის (დონორის) მიერ გრანტის გაცემის მარეგულირებელი წესი, რომლის შესაბამისად, გრანტის გამცემის (დონორის) მიერ ამ კანონით გათვალისწინებული გრანტის მიმღებისთვის გრანტის გაცემა საჭიროებს საქართველოს მთავრობის, ან საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირის/ორგანოს თანხმობას. გრანტის თანხმობის გარეშე გაცემად მიიჩნევა აგრეთვე გრანტის გამოყენება - ხელშეკრულებაში აღნიშნული მიზნებისგან გადახვევით.

გრანტის გამცემმა (დონორმა) გრანტის გაცემაზე თანხმობის მისაღებად საქართველოს მთავრობას, ან საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ უფლებამოსილ პირს/ორგანოს უნდა წარუდგინოს კანონით გათვალისწინებული წერილობითი ხელშეკრულების პროექტი, რის ფარგლებშიც საქართველოს მთავრობას, ან საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ უფლებამოსილ პირს/ორგანოს უფლება აქვს, გრანტის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად გრანტის გამცემს (დონორს) მოსთხოვოს დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა.

კანონით გათვალისწინებული უცხოური გრანტის გამცემის (დონორის) მიერ გრანტის გაცემის ახალი წესი არ ვრცელდება საერთაშორისო სპორტული ასოციაციის, ფედერაციისა და კომიტეტის მიერ გაცემულ გრანტებზე, აგრეთვე საქართველოს ფარგლების გარეთ ზოგადი განათლებისა და უმაღლესი განათლების მიღებისა და სამეცნიერო მუშაობისთვის გაცემულ ინდივიდუალურ ფინანსურ დახმარებაზე.

გრანტის თანხმობის გარეშე გაცემისა და მიღების მონიტორინგისა და გრანტის თანხმობის გარეშე მიღების თაობაზე ფიზიკური პირის გამოკითხვის წესის მოქმედება ვრცელდება აგრეთვე ფულადი ან ნატურალური ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემულ იმ სახსრებზე, რომლებიც თავისი ბუნებით გრანტია, მაგრამ გაცემულია კანონით განსაზღვრული გრანტის გაცემის სამართლებრივი საფუძვლის წესებით დარეგულირებული წესებისგან

განსხვავებული, მოჩვენებითი ან თვალთმაქცური გარიგების საფუძვლით.

16 აპრილის ცვლილებით, კანონს აგრეთვე დაემატა (1) გრანტის თანხმობის გარეშე გაცემისა და მიღების მონიტორინგის (2) გრანტის თანხმობის გარეშე მიღების თაობაზე ფიზიკური პირის გამოკითხვის (3) გრანტის თანხმობის გარეშე მიღებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის დაკისრებისა და (4) გრანტის თანხმობის გარეშე მიღებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის წესები.

- **გრანტის თანხმობის გარეშე გაცემისა და მიღების მონიტორინგი**

გრანტის თანხმობის გარეშე გაცემისა და მიღების მონიტორინგს ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ანტიკორუფციული ბიურო, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, ადგენს კანონით გათვალისწინებული გრანტის თანხმობის გარეშე გაცემისა და მიღების მონიტორინგის განხორციელების წესს. ანტიკორუფციული ბიურო გრანტის თანხმობის გარეშე გაცემისა და მიღების მონიტორინგის განხორციელების მიზნით უფლებამოსილია განახორციელოს შემდეგი:

- პირისგან გამოითხოვოს ფინანსური ანგარიში, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი ამ უცხოური გრანტის გამცემის (დონორის) მიერ გრანტის გაცემის წესით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის (დარღვევის) თაობაზე;
- გამოკითხოს ფიზიკური პირი ამ კანონით დადგენილი წესით;
- დაკითხოს ფიზიკური პირი მაგისტრატი მოსამართლის წინაშე საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით;
- საჯარო დაწესებულებისგან, ფიზიკური პირისგან, იურიდიული პირისგან (მათ შორის, საგადახდო მომსახურების პროვაიდერისგან), სხვა სუბიექტისგან გამოითხოვოს საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემი, სხვა პერსონალური მონაცემისა და საიდუმლოების (გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფო საიდუმლოებისა) შემცველი ინფორმაცია;
- განახორციელოს კანონით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებები.

დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შემთხვევაში კი, სახელმწიფო ორგანოები ანტიკორუფციულ ბიუროს უგზავნიან ინფორმაციას კანონით დადგენილი მოთხოვნების დარღვევის თაობაზე.

ანტიკორუფციული ბიურო საჯარო დაწესებულებისგან, ფიზიკური ან იურიდიული პირისგან (მათ შორის, საგადახდო მომსახურების პროვაიდერისგან) არასაჯარო ინფორმაციის, მათ შორის, პერსონალური მონაცემებისა და საიდუმლო ინფორმაციის (გარდა სახელმწიფო

საიდუმლოების) გამოთხოვას სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ახორციელებს.

სასამართლოსთვის მიმართვისას, იურიდიული პირის შემთხვევაში მიმართვა უნდა განხორციელდეს რეგისტრაციის მისამართის, ფიზიკური პირის შემთხვევაში კი - საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. აღნიშნულ საკითხ(ებ)თან დაკავშირებით, სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს 48 საათში.

ბიუროს მიმართვა უნდა იყოს დასაბუთებული და შეიცავდეს ინფორმაციის გამოთხოვის საფუძველს, მიზანს, პერიოდს და მოცულობას. სასამართლოს გადაწყვეტილებაშიც უნდა აისახოს ეს ინფორმაცია და ვადის მითითება. მოთხოვნილი ინფორმაციის მქონე სუბიექტი ვალდებულია წარუდგინოს ის ბიუროს.

ბიურო ადმინისტრაციულ წარმოებას ახორციელებს 3 თვეში, საჭიროების შემთხვევაში ვადა შესაძლებელია 3 თვით გახანგრძლივდეს ბიუროს უფროსის გადაწყვეტილებით.

- **გრანტის თანხმობის გარეშე მიღების თაობაზე ფიზიკური პირის გამოკითხვა**

ფიზიკური პირი, რომელსაც შესაძლოა ჰქონდეს ანტიკორუფციული ბიუროსთვის საჭირო ინფორმაცია, შესაძლოა ანტიკორუფციულმა ბიურომ ნებაყოფლობით გამოკითხოს. კანონის შესაბამისად, იძულება მტკიცებულების წარდგენის ან ინფორმაციის გაცემის მიზნით დაუშვებელია. ასეთ დროს გამოსაკითხ პირს უფლება აქვს, თავისი ხარჯით ისარგებლოს ადვოკატით და არ გასცეს ინფორმაცია საკუთარი თავის, ან ახლო ნათესავის წინააღმდეგ.

კანონი ადგენს ანტიკორუფციული ბიუროს ფართო ვალდებულებებს, თუ როგორ უნდა განხორციელდეს პირის გამოკითხვა. სახელდობრ, გამოკითხვის დაწყებამდე უნდა დადგინდეს პირის ვინაობა და აუცილებელი ინფორმაცია, რაც აღინიშნება გამოკითხვის ოქმში. ბიურო ვალდებულია, განმარტოს, რომ გამოკითხვა ნებაყოფლობითია და ესეც უნდა აისახოს ოქმში. გამოსაკითხი პირი ვალდებულია მიაწოდოს სწორი ინფორმაცია. ამავდროულად, ანტიკორუფციული ბიურო ვალდებულია, წერილობით გააფრთხილოს პირი ცრუ ინფორმაციისთვის პასუხისმგებლობის შესახებ და აღნიშნოს ეს ოქმში. აგრეთვე უნდა განემარტოს, რომ შესაძლებელია მისი დაკითხვა მაგისტრატი მოსამართლის წინაშე. გამოკითხვისას შეიძლება გამოყენებულ იქნას ხმის ან/და გამოსახულების ჩამწერი საშუალებები, რის შესახებაც პირი წინასწარ უნდა იქნას ინფორმირებული. გამოკითხვა შესაძლებელია დისტანციურად, ელექტრონულად.

- **გრანტის თანხმობის გარეშე მიღებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის დაკისრების წესი**

ანტიკორუფციული ბიუროს უფლებამოსილი პირი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში ადგენს სამართალდარღვევის ოქმს, რომელიც დაუყოვნებლივ ეგზავნება რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს. სახდელის აღსრულების ხელშეშლის საფრთხის შემთხვევაში, ბიუროს შეუძლია ოქმის შედგენასთან ერთად პროპორციულად დაადოს ყადაღა სამართალდამრღვევის ქონებას, მათ შორის საბანკო ანგარიშებს. ყადაღა დაუყოვნებლივ ამოქმედდება და სასამართლოს წარედგინება დასადასტურებლად.

კანონი განსაზღვრავს სასამართლოს მიერ ოქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ვადებს, რომელიც საერთო შემთხვევაში შეადგენს 5 დღეს. აღნიშნული გადაწყვეტილება შესაძლებელია ერთჯერადად გასაჩივრდეს მისი ჩაბარებიდან 10 დღეში - სააპელაციო სასამართლოში, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს 15 დღეში, ხოლო მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა.

ხოლო წინასაარჩევნო პერიოდში სასამართლო ოქმს განიხილავს 5 დღეში, ხოლო გადაწყვეტილება 72 საათში საჩივრდება სააპელაციო სასამართლოში, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს 5 დღეში. სააპელაციო სასამართლოს საბოლოო და არ გასაჩივრებადი გადაწყვეტილება მხარეს გადაეცემა მიღების მომდევნო დღის არაუგვიანეს 12 საათისა.

რაც შეეხება ყადაღის საკითხს - აღნიშნულზე სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს 48 საათში. ის 48 საათში ერთჯერად საჩივრდება სააპელაციო სასამართლოში, თუმცა გასაჩივრება მის მოქმედებას არ აჩერებს. სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს ასევე 48 საათში და ის საბოლოოა. გადაწყვეტილება და მასალები მხარეს მიეწოდება მიღების მომდევნო დღის არაუგვიანეს 12 საათისა.

- **გრანტის თანხმობის გარეშე მიღებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა**

გრანტის მიმღების მიერ გრანტის თანხმობის გარეშე მიღება გამოიწვევს გრანტის მიმღების დაჯარიმებას აღნიშნული გრანტის ორმაგი ოდენობით.

ფიზიკური პირის ანტიკორუფციული ბიუროს მიერ გამოკითხვისას, ან ანტიკორუფციული ბიუროს შუამდგომლობის საფუძველზე ფიზიკური პირის მაგისტრატი მოსამართლის წინაშე დაკითხვისას აღნიშნული პირის მიერ ცრუ ინფორმაციის მიწოდება – გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარით. აღნიშნულ ქმედებათა განმეორებით ჩადენა – გამოიწვევს შესაბამისი პირის დაჯარიმებას - გათვალისწინებული ჯარიმის ორმაგი ოდენობით. ასეთ შემთხვევებში პასუხისმგებლობა შესაძლოა დაკისრებულ იქნას შესაბამისი ქმედების ჩადენიდან 6 წლის განმავლობაში.

3. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები

2025 წლის 18 მარტსა და 2 აპრილს ცვლილება შევიდა მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონში. 18 მარტის ცვლილება ძალაში შევიდა 19 მარტს, ხოლო 2 აპრილის ცვლილება - 4 აპრილს.

18 მარტის ცვლილებით, საწარმოთა ვალდებულება, სადამფუძნებლო დოკუმენტები მოიყვანონ კანონთან შესაბამისობაში - გადაიწია 2026 წლის 1-ელ აპრილამდე. ამავე ცვლილებით, შესაბამისად, ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მარეგისტრირებელი ორგანო 2027 წლის 1 იანვრიდან იღებს გადაწყვეტილებას ამ ვალდებულების დამრღვევი მეწარმის რეგისტრაციის ხარვეზიანობის შესახებ და ხარვეზის აღმოსაფხვრელად მას 3 თვიან ვადას უდგენს.

2 აპრილის ცვლილებით კი, ცვლილება შევიდა საფირმო სახელწოდების გამოყენების წესებში. ცვლილების შესაბამისად, დაუშვებელია მეწარმის საფირმო სახელწოდებაში გამოყენებულ იქნას ისეთი სიტყვა ან სიტყვათწყობა, რომელიც აღვივებს შუღლს რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, პროფესიის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ოჯახური მდგომარეობის, სექსუალური ორიენტაციის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის ან სხვა საფუძვლით, აგრეთვე ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს და ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს.

4. უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი

2025 წლის 1 აპრილს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტის შესახებ. აღნიშნული კანონი ძალაში შედის 31 მაისს. ხოლო ყოველმა პირმა, რომელიც ხდება უცხოური პრინციპალის აგენტი, ვალდებულია აგენტად გახდომიდან 10 დღის ვადაში წარადგინოს სარეგისტრაციო განცხადება ანტიკორუფციულ ბიუროში.

აღნიშნული კანონის თანახმად, ნებისმიერი პირი, ან ორგანიზაცია, რომელიც, კანონით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად, არის უცხოური სუბიექტის ინტერესების გამტარებელი, ვალდებულია, დარეგისტრირდეს, როგორც უცხოელი აგენტი.

კანონის შესაბამისად, ,,უცხოური პრინციპალის” ცნება საკმაოდ ფართოა, და მათში მოიაზრება ის სუბიექტები, რომელთა სახელით, ან დაკვეთით მოქმედება შესაძლოა აღქმული იყოს, როგორც უცხოური აგენტის საქმიანობა. აღნიშნული ცნება დამოკიდებულია სუბიექტის დაფუძნების

ადგილზე, იურისდიქციაზე, ადგილმდებარეობას, ან საქმიანობის ცენტრზე. კერძოდ, უცხოურ პრინციპალად მიიჩნევა:

-უცხო ქვეყნის ხელისუფლება ან უცხოური პოლიტიკური პარტია;
-პირი, რომელიც საქართველოს ფარგლების გარეთ იმყოფება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს პირი საქართველოს მოქალაქეა და მისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი საქართველოს ტერიტორიაზეა, ან როდესაც ეს პირი ფიზიკური პირი არ არის, მაგრამ იგი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად არის დაფუძნებული და ორგანიზებული და მისი საქმიანობის ძირითადი ადგილი საქართველოს ტერიტორიაზეა;
-პარტნიორთა ჯგუფი, ასოციაცია, კორპორაცია, ორგანიზაცია ან ფიზიკურ პირთა სხვა გაერთიანება, რომლის საქმიანობაც მოწესრიგებულია უცხო ქვეყნის კანონით ან რომლის საქმიანობის ძირითადი ადგილი უცხო ქვეყნის ტერიტორიაზეა;
-უცხოური პრინციპალის აგენტი .

თავის მხრივ, ,,უცხოური პრინციპალის აგენტის" ცნება ფართოა და მოიცავს როგორც დასაქმების, კონტროლის, დაფინანსების, ისე წარმოდგენისა და თვითიდენტიფიკაციის საფუძველზე მოქმედ პირებსაც. კანონის მიხედვით, უცხოური პრინციპალის აგენტი მოიცავს ყველა იმ პირს, რომელიც პირდაპირ, ან ირიბად მოქმედებს უცხოური პრინციპალის სახელით, მისი გავლენით, ან ფინანსური მხარდაჭერით, კონკრეტულად:

-იგი უშუალოდ ან სხვა პირის მეშვეობით, უცხოური პრინციპალის სასარგებლოდ ან მისი ინტერესის გამო საქართველოში პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობს;
-იგი უშუალოდ ან სხვა პირის მეშვეობით, უცხოური პრინციპალის სასარგებლოდ ან მისი ინტერესის გამო საქართველოში მოქმედებს, როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობების მრჩეველი, სარეკლამო აგენტი, საინფორმაციო სამსახურის თანამშრომელი ან პოლიტიკური მრჩეველი;
-იგი უშუალოდ ან სხვა პირის მეშვეობით, უცხოური პრინციპალის სასარგებლოდ ან მისი ინტერესის გამო საქართველოში მოიძიებს, აგროვებს, გამოყოფს ან გასცემს შემოწირულებას, სესხს, ფულს ან სხვა მატერიალურ ფასეულობას;
-იგი საქართველოში წარმოადგენს უცხოური პრინციპალის ინტერესებს ნებისმიერი სახელმწიფო დაწესებულების ან თანამდებობის პირის წინაშე;
-პირი, რომელიც თანხმდება, ნებას ავლენს ან უშვებს, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში ან სახელშეკრულებო ურთიერთობის გარეშე იმოქმედოს, როგორც ამ მუხლის „გ.ა" ქვეპუნქტით განსაზღვრულმა უცხოური პრინციპალის აგენტმა, ან რომელიც თავს უცხოური პრინციპალის აგენტად მოქმედად აჩვენებს ან წარმოაჩენს;

აქედან გამომდინარე, პირის სტატუსის განსაზღვრა არ არის მხოლოდ ფორმალურ კავშირზე დამყარებული – საკმარისია მოქმედება

უცხოური პრინციპალის ინტერესების სასარგებლოდ ან მისი მხარდაჭერით.

კანონი პირდაპირ გამორიცხავს უცხოური პრინციპალის აგენტის განმარტებიდან იმ მედიასაშუალებებსა და მასობრივი ინფორმაციის გავრცელების საშუალებებს, რომლებიც აკმაყოფილებენ გარკვეულ ფორმალურ და შინაარსობრივ კრიტერიუმებს. გამონაკლისის თანახმად, „უცხოური პრინციპალის აგენტად“ არ მიიჩნევა:

- ახალი ამბების მასობრივი გავრცელების იმ საშუალებას, ახალი ამბების მასობრივად გამავრცელებელ პირთა იმ გაერთიანებას, მასობრივი ინფორმაციის იმ ბეჭდურ საშუალებას, მასობრივი ინფორმაციის ბეჭდური საშუალებით გამავრცელებელ პირთა იმ გაერთიანებას, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ჩამოყალიბდა/შეიქმნა.
- იმ გაზეთს, იმ ჟურნალს, იმ პერიოდულ ბეჭდურ გამოცემას, იმ პუბლიკაციას, რომელიც საქართველოში გამოიცემა ახალი ამბების კეთილსინდისიერი გავრცელებით ან ჟურნალისტური საქმიანობის კეთილსინდისიერი განხორციელებით, მათ შორის, რეკლამის შეთავაზების ან მოზიდვის, პროდუქტის ან მომსახურების გამოწერის შეთავაზების ან სხვა სახის საზღაურის მეშვეობით. აღნიშნული ჩანაწერი ეხებათ იმ სუბიექტებს, რომლის არანაკლებ 80%-ის ბენეფიციარი მესაკუთრეები და რომლის მმართველები და ხელმძღვანელები (მათი არსებობის შემთხვევაში) საქართველოს მოქალაქეები არიან, რომელსაც არ ფლობს, არ ზედამხედველობს, არ მართავს, არ აკონტროლებს, არ აფინანსებს, რომლის სუბსიდირებას არ ახორციელებს და რომელსაც არანაირ პოლიტიკას არ განუსაზღვრავს უცხოური პრინციპალი ან უცხოური პრინციპალის აგენტი, რომელიც ამ კანონის შესაბამისად უნდა დარეგისტრირდეს;

კანონში გამოყენებული ისეთი ტერმინები, როგორებიცაა „კეთილსინდისიერი გავრცელება“ ან „კეთილსინდისიერი ჟურნალისტური საქმიანობა“ არ არის განსაზღვრული. აღნიშნული წარმოადგენს ინტერპრეტაციის საგანს.

კანონი აგრეთვე ითვალისწინებს კონკრეტულ კატეგორიებს, რომლებსაც არ ეხებათ რეგისტრაციის ვალდებულება და ასეთი პირები არიან:

- დიპლომატიურ და საკონსულო თანამდებობის პირები (მოხელეები) – შესაბამისი წესის დაცვით აკრედიტებულ, უცხო ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენელ, დიპლომატიური ან საკონსულო საქმიანობის განმახორციელებელ პირებზე, რომლებიც აღიარებული არიან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- უცხო ქვეყნის ხელისუფლების თანამდებობის პირი – თუ ეს ხელისუფლება აღიარებულია საქართველოს მიერ და აღნიშნული თანამდებობის პირი იმავდროულად არ არის საზოგადოებასთან ურთიერთობების მრჩეველი,

სარეკლამო აგენტი, საინფორმაციო ცენტრის თანამშრომელი ან საქართველოს მოქალაქე;

- დიპლომატიური ან საკონსულო თანამდებობის პირების (მოხელეების) პერსონალი – პერსონალის წევრზე ან სხვა ფიზიკურ პირზე, რომელიც დასაქმებულია უცხო ქვეყნის ხელისუფლების სათანადოდ აკრედიტებულ დიპლომატიურ ან საკონსულო სამსახურში და იმავდროულად ახორციელებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ აღიარებულ ექსკლუზიურ საქმიანობას, რომელიც თანამდებობის პირის ფუნქციებს მიეკუთვნება, გარდა საზოგადოებასთან ურთიერთობების მრჩევლისა, სარეკლამო აგენტისა ან საინფორმაციო სამსახურის თანამშრომლისა;
- რელიგიურ, სასწავლო ან სამეცნიერო საქმიანობასთან დაკავშირებით – ნებისმიერ პირზე, რომელიც თანხმდება, განახორციელოს ან რომელიც ახორციელებს მხოლოდ ისეთ კეთილსინდისიერ საქმიანობას, როგორიცაა რელიგიური, საქველმოქმედო, აკადემიური, სამეცნიერო ან სახელოვნებო საქმიანობა;
- საქართველოს თავდაცვის მიზნებისთვის მნიშვნელოვან უცხო ქვეყნის მთავრობის დაცვასთან დაკავშირებით:
- საადვოკატო საქმიანობის განმახორციელებელ პირი - რომელიც საქართველოს სასამართლოების ან ნებისმიერი სახელმწიფო დაწესებულების წინაშე ახორციელებს უცხოური პრინციპალის წარმომადგენლობას, იმ პირობით, რომ ამ კანონის მიზნებისთვის სამართლებრივი წარმომადგენლობა არ მოიცავს საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებაზე გავლენის მოხდენის ან მისი პერსონალის ან თანამდებობის პირების დარწმუნებას;
- უცხოური პრინციპალის აგენტზე - რომელიც (1) საქართველოს ფარგლების გარეთ იმყოფება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს პირი საქართველოს მოქალაქეა და მისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი საქართველოს ტერიტორიაზეა, ან როდესაც ეს პირი ფიზიკური პირი არ არის, მაგრამ იგი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად არის დაფუძნებული და ორგანიზებული და მისი საქმიანობის ძირითადი ადგილი საქართველოს ტერიტორიაზეა (2) პარტნიორთა ჯგუფი, ასოციაცია, კორპორაცია, ორგანიზაცია ან ფიზიკურ პირთა სხვა გაერთიანება, რომლის საქმიანობაც მოწესრიგებულია უცხო ქვეყნის კანონით ან რომლის საქმიანობის ძირითადი ადგილი უცხო ქვეყნის ტერიტორიაზეა – თუ იგი ჩართულია ლობისტურ საქმიანობაში და დარეგისტრირებულია ლობისტად „ლობისტური საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მხოლოდ ის ფაქტი, რომ პირი იღებს უცხოურ დაფინანსებას, ავტომატურად არ წარმოშობს რეგისტრაციის ვალდებულებას. გადამწყვეტია შემდეგი გარემოებები:

- რამდენად არის კავშირი უცხოური დაფინანსებისა და კომპანიის საქმიანობას შორის;

- მონაწილეობს თუ არა კომპანია პირდაპირ ან ირიბად პოლიტიკურ საქმიანობაში ან საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში;
- ემსახურება თუ არა საქმიანობა უცხოური პრინციპალის ინტერესებს ან მიმართულია სახელმწიფოს გადაწყვეტილებების გავლენაზე.

კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგისა და კონტროლის ფუნქცია აკისრია ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელს. კანონი ასევე ადგენს სანქციებს მათთვის, ვინც უარს იტყვის რეგისტრაციაზე, ან არ შეასრულებს კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

რეგისტრაცია ხორციელდება ანტიკორუფციული ბიუროს ვებგვერდზე არსებული FARA eFile პორტალის საშუალებით, რომელიც უნდა შეიცავდეს განმცხადებლის იდენტიფიკაციის მონაცემებს, მოქალაქეობას, მისამართებს, საქმიანობის აღწერას, თანამშრომელთა სიას, შემოსავლებისა და ხარჯების დეტალურ ინფორმაციას, წერილობით და ზეპირ შეთანხმებებს, აგენტად ყოფნის საფუძველს, წარმომადგენელი პირების მონაცემებს და ყველა დამატებით დოკუმენტს, რაც სიზუსტის დასადასტურებლად ანტიკორუფციულ ბიუროს შეიძლება დასჭირდეს.

რაც შეეხება კანონის აღსრულებას და ვალდებულებათა შესრულების კონტროლის მექანიზმებს, აღნიშნულზე პასუხისმგებელი ძირითადი აღმასრულებელი ორგანოა - ანტიკორუფციული ბიურო. კანონით სწორედ მას ენიჭება მთავარი ფუნქცია იმ სუბიექტების იდენტიფიცირებასა და განსაზღვრაში, რომლებიც უცხოური პრინციპალის აგენტად უნდა დარეგისტრირდნენ. ბიურო იღებს რეგისტრაციის განცხადებებს, აფასებს მათ შინაარსობრივად და, საჭიროების შემთხვევაში, იღებს ზომებს როგორც ჯარიმების დაკისრების, ისე სასამართლოსთვის მიმართვის სახით, რათა უზრუნველყოს ვალდებულებების იძულებითი შესრულება.

კანონთან არსებითად დაკავშირებული მეორე სახელმწიფო ინსტიტუტი სასამართლოა. თუ პირი, რომელიც, ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, უცხოური გავლენის აგენტად მიიჩნევა, არ დარეგისტრირდება კანონით დადგენილი წესით, ბიურო სასამართლოსგან რეგისტრაციის იძულებით უზრუნველყოფას მოითხოვს. სასამართლო წყვეტს, დაეკისროს თუ არა სუბიექტს ჯარიმა რეგისტრაციის განაცხადის წარდგენისგან თავის არიდების ან არასწორი მონაცემების მიწოდების გამო.

როდესაც კანონის დარღვევა სცდება ადმინისტრაციულ ჩარჩოს და სახეზეა ისეთი დარღვევა, როგორიცაა დოკუმენტის გაყალბება, გამოძიების დაბრკოლება, რეგისტრაციისათვის თავის არიდება ან სხვა კანონით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედებები - კანონი სისხლისსამართლებრივ მექანიზმებსაც ითვალისწინებს.

რაც შეეხება პასუხისმგებლობის არეალსა და მასშტაბებს, კანონის შესაბამისად, კანონით

განსაზღვრული დებულებების განზრახ დარღვევა წარმოადგენს დანაშაულს და ისჯება ჯარიმით არაუმეტეს 10 000 ლარის ოდენობით ან/და თავისუფლების აღკვეთით ვადით 5 წლამდე. ზოგიერთი დანაშაულისთვის, რომელიც ეხება პოლიტიკური პროპაგანდის დახარისხებას/კატეგორიებად დაყოფას, გათვალისწინებულია ჯარიმა არაუმეტეს 5 000 ლარისა ან/და თავისუფლების აღკვეთა ვადით არაუმეტეს 6 თვისა. კანონი ითვალისწინებს სამოქალაქოსამართლებრივი აღსრულების მექანიზმებსაც. კერძოდ, სასამართლოს, ანტიკორუფციული ბიუროს შუამდგომლობით, შეუძლია პირს დაავალდებულოს, რომ შეწყვიტოს უკანონო ქმედება ან უცხოური პრინციპალის აგენტის სტატუსით მოქმედება ან მოითხოვოს კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი რეგულაციის შესრულება. დამატებითი ინფორმაციისთვის.

საკონტაქტო ინფორმაცია:

საქართველო, ქ. თბილისი,
ვაჟა - ფშაველას გამზირი 71, ბლოკი IV,
სართული IV, ოფისი 28
ტელ: (+995) 322 207407 (ext. 101)
მობილური: (+995) 555 018585
ელ-ფოსტა: info@nplaw.ge
www.nplaw.ge

NODIA,
URUMASHVILI
& PARTNERS